**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . 10 მ. | — კ. |
| 11 | ,, . . 9 ,, | 50 ,, |
| 10 | ,, . . 8 ,, | 75 ,, |
| 9 | ,, . . 8 ,, | — ,, |
| 8 | ,, . . 7 ,, | 25 ,, |
| 7 | ,, . . 6 ,, | 50 ,, |
| 6 | ,, . . 6 ,, | — ,, |
| 5 | ,, . . 5 ,, | 50 ,, |
| 4 | ,, . . 4 ,, | 75 ,, |
| 3 | ,, . . 3 ,, | 50 ,, |
| 2 | ,, . . 2 ,, | 75 ,, |
| 1 | ,, . . 1 ,, | 50 ,, |

# ივერია

**№ 270** ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი **№ 270**

**წლიური ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოისპობა.



განცხადებანი იმ კერძო კაცთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც იმყოფებიან ან რუსეთში ანუ უცხო თავიანთი ვრცელი კანტორებით თუ მმართველობანი კავკასიის და ამიერ-კავკასიის მხარეს გარეშე, მიიღებიან მხოლოდ საგაზეთო სახლის ლ. ე. მეტცლის და ამხ.-ის განცხადებათა კანტორის მიერ: Москва, Краковское предмѣстье, 53, Парижъ, 8 Площадь Биржи.

კავკასიის გარეშე ქალაქებიდამ მიღებულ განცხადების ფასი მე-4 გვერდზედ ორი შაურია სტრიქონზე, ხოლო პირველზე—ერთი აბაზი.


შაბათს, 27 ნოემბერს, გარდაცვლილ ოქმნება წლის წირვა და პანაშვიდი

**გენერალ-ლეიტენანტის თავადის მიხეილ ქაიხოსროს ძის ამილახვარისა**

დიდუბის ეკკლესიაში, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ სახლობა გარდაცვლილისა.

წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ, ხოლო პანაშვიდი—11 საათზედ.

## რედაქციისაგან

„ივერიის" რედაქციამ ბინა გამოიცვალა და გადავიდა უფრო მოხერხებულ ადგილას, სახელდობრ ბარონის ქუჩაზედ, სახლი კ. ალექსი-მესხიშვილისა, კალოუბნის ეკკლესიის გვერდზედ, ფოსტის მახლობლად.

იბეჭდება და საშობაოდ დაურიგდებათ მეორე პრემიათ „ივერიისა" „აღდგომა" (Воскресенье), რომანი გრ. ლ. ნ. ტოლსტოისა, იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც 1 თებერვლამდე შემოიტანეს თითო თუმანი.

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

**ლ. დ. დონსკოისა**

ხუთშაბათს, 25 ნოემბერს,

მეორე დებიუტი ვ. ი. ლაზარევისა.

წარმოდგენილი იქმნება

**კ ა რ მ ე ნ ი**

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა ბიზესი.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი ნიკიტსკაია, შიხუცკაია-მინჩენკო, ხარიტონოვისა და სხვ.; ბ-ნნი ობრაზცოვი, სპერანსკი, ზალინსკი, მურატოვი და სხვ.

ბალეტს განაგებს **ჟიოვასსი**. პრიმა-ბალერინა **ლენჩევსკაია**.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. გეცევიჩი.

კაპელმეისტერი: ნ. მიკლაშევსკი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

ჰარასკევს, 26 ნოემბერს,

ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქმნება

**ნ ე რ ო ნ ი**

ოპერა 4 მოქ. 6 სურ., მუსიკა რუბინშტეინისა.

შაბათს, 27 ნოემბერს,

მე-6 «გალა» წარმოდგენა.

წარმოდგენილი იქნება

**ბორის გოდუნოვი**

ოპერა 4 მოქმედ., მუსიკა მუსორგსკისა.

მზადდება წარმოსადგენად პირველად **«მანდარინის შვილი»**, ც. კიუისა და **«მანონი»**, მუსიკა მასსენესი.

**ბილეთები იყიდება.**

გამგე ი. კელლერი.

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა

**საბჭო**

ამით აცხადებს, რომ, თანახმად მიწადმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის განკარგულებისა, ამ წლის 29 ნოემბერს ქ. ქუთაისში მოწვეულია ჭიათურის შავის ქვის მრეწველთა მე-7 საგანგებო კრება, კავკასიის სამთამადნო გამგეობის უფროსის თანაშემწის, სამთო ინჟინერის მ. ი. ჩენგერის თავმჯდომარეობით. კრებას გარეშენი ვერ დაესწრებიან.

განსახილველი საგნები:

1) არჩევნები საბჭოს მდივნისა და 2) სამთო-სამრეწველო საბჭოში ჭიათურის შავის ქვის ქვის მრეწველთა წარმომადგენლის არჩევა და საჭირო ფულის გადადება სამთო-სამრეწველო საბჭოში არჩეულ წარმომადგენლის საქმეთა წარმოებისათვის. (2—1)

**პირველი კერძო სამკურნალო**

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. აპეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა

**ზ. ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—საშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ზ. ხოლოდოვსკი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ბ. ი. შიშმანიანისა.** 1½—2 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**პ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**პ. ა. ბალიშვილი.** აფთიაქის მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულ გამოკვლევა. 5—7 საათ.

**ხ. ტ. არუთინოვი.** 11—1 ს. ელექტრონის და მიკროელექტრონის საათი. ავადმყოფი, ყოველგვარ ავადმყოფობანი—ეხლანდელი მეთოდით ეძიება დაწმენდა.

რენტგენის სხივებით და რენტგენის ფოტოგრაფიის ფასი ათი მანეთი, ელექტრონის დოზა ფასი ორი მანეთი.

დირექტორი სამკურნალოსი ლოკტორი **ქ. ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памяти. Воронцова.

**ქართველი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყურისა, ცხვირის და ყელის ავადმყოფობ., ქუჩ. № 16, სტუმარი სახლი. სადამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩ. სახლი მიდოიანისა. № 5

**კბილის ექიმი ნ. ტუმანიშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ სადამოს 5 საათ., ოლღას ქუჩა, № 31.

**ალექსი-მესხიშვილი,** სარდიონ ს-რლოვის-ქ. იღებს სადიასტერო ავადმყოფობა, ნერვიულ და ხსენებულ ავადმყოფობათა. დასხვებულს დრო 3 საათიდგან 5 საათამდე 6-მდე. ოლღას ქუჩ., № 15.

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კონტორის ქუჩ., № 19.

**მაჩაბელი სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა. სტუმარი სახლი.

**დისამიძე ალექსანდრე,**—ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და სადამოთი 6—8-მდე.

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

მომავალი ბრძოლა წყნარ ოკეანეზედ. რუს. ვედ.-ის სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი ვ. მ. განდრაძე თავის წერილს ბალტიის ესკადრის მნიშვნელობასა და დანიშნულებაზედ, ეხლა თითქმის აღარავინ ურის არა ჰყოფს—სწერს ვ. მ.,—რომ რუსეთის ჯარი ძლიერ ფლოტის დაუმარცხებლად ვერ გაიმარჯვებს. სანამ ზღვაში იაპონია ბატონობს, გენ. კუროპატკინი ვერც კორეის დაიკავებს და ვერც პორტ-არტურს დაიხსნის (თუ იაპონელები აიღეს). მაშასადამე, ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრის დავალება ჩვენის ზღვაზედაც და ხმელეთზედაც ომის წაგებას ურის. თუ საქმე ასე დატრიალდა, ტყუილი იქნება გვეგონება, ვითომ მომავალ შემოდგომაზედ, ან ზამთარში, შორეულ აღმოსავლეთში ეხლა იქ მომავალ ესკადრაზე უფრო ძლიერ ესკადრას გავგზავნით. ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრის ბეწვზედ ჰკიდია. ბრძოლა თავის მზად რომ მიუვიდნობა იაპონიის ფლოტზე უპირატესობას მაინც ვერ მოიპოვებდა; ეხლა რომ არ იყოს, ისედაც მაინც არ დავარწმუნებდი პორტარტურს და ჩვენ ფლოტის დარბაზეში არ მოეშველის. არც ომის იმედი იყოს გეშუძლის, ვითომ ან ჩილიის, ან არგენტინის რესპუბლიკა გემებს მოგვყიდიან; ჩილის კონგრესმა მტკიცე ური უარით თავის მთავრობას და დაავალა, რომ სამხედრო გემები არც იაპონიას, არც რუსეთს და არც სხვა რომელიმე სახელმწიფოს არ მიჰყიდოს. არგენტინამაც გადაჭრით გამოაცხადა, რომ თავის გემებს არავის არ მიჰყიდის. ვიქვით, მომავალ შემოდგომას ადმირალ როჟესტვენსკის აბალი გემებიც მიეშველეთ, მაგრამ ისიც უნდა მახსოვდეს, რომ არც იაპონიას სძინავს; ამ წლის დამდეგიდან იაპონიაში შენდება სამი ჯავშნიანი კრეისერი; თითო 11,000 ტონა წყალ-რწყვა ექნება და საათში 22½ მილის გავლა შეეძლება. ამ კრეისერებისთვის ამერიკაშია კარნეგისა და ვიფლეემსკის ქარხნებს იაპონიამ 7,500 ტონა ჯავშანი შეუკვეთა, რომელიც იაპონიას მომავალ გაზაფხულს უნდა ჩაბარდეს. მაშასადამე, მომავალ შემოდგომას იაპონიის ფლოტს სამი დიდი კრეისერი მიემატება. თუ ზღვაზე მოქმედება კიდევ ერთის წლით გადავიდა, ვინ დაგვიდგება თავდებათ, რომ იაპონელები ელიოტისტანისა ხმელეთიდგან ალყას არ შემოარტყმენ და ამ რიგად ჩვენს ფლოტს უკანასკნელ თავშესაფარს არ წაართმევენ? თავშესაფარიდამ კი თვით უძლიერესი ფლოტიც ვერაფერს გააწყობს. ამ არსებულ მდგომარეობა ზღვაში ცოტად თუ ბევრად შეიცვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პორტ-არტურის ესკადრა ზღვაში გავა და ადმირალ ტოგოს ესკადრას შებრძოლდება. ეხლანდელი ომის მოძრაობა მაშინ იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად დაზარალდება იაპონიის ფლოტი ამ ბრძოლაში. თუ პორტ-არტურის ფლოტი ბრძოლის დროს მთლად დაიღუპება და სამაგიეროდ იაპონიის 6 ჯავშნიან გემსა და ჯავშნიან კრეისერს იმდენად დააზიანებს, რომ მათ რამდენიმე თვის განმავლობაში ბრძოლაში მონაწილეობის მიღება აღარ შეეძლოთ, მაშინ ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრა დაახლოვებით ტოგოს ფლოტის ოდენა გახდება. თუ როჟესტვენსკის ესკადრას ვლადივოსტოკის რაზმი შეუერთდა, მაშინ როჟესტვენსკის ესკადრა იაპონიის ფლოტზე ცოტა მეტი ძალაც ექნება. ამ შემთხვევაში გამარჯვება ადმირალ როჟესტვენსკის საიმედოდ ნიშნა, მეზღვაურების თვისებასა და ომის ბედზედ იქნება დამოკიდებული. მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იმედი გვქონდეს, რომ ომის მოძრაობა ასე დატრიალდება, თუ ვეცდებათ, შეუძლიათ თუ არა პორტ-არტურში მომწყვდეულ ფლოტს ზღვაში გასვლა და ადმირალ ტოგოს ესკადრასთან შებრძოლება. ამ საკითხის გადაჭრა ძალიან ძნელია, რადგან არც ის ვიცით, თუ რამდენად დაზიანდა იაპონიის ფლოტი და არც ის, აქვს თუ არა ციხეში ფლოტისთვის საჭირო ნახშირი და საბრძოლო მასალა. ეხლა კი ამის ნიშნავდეს არ ვიცი. ტუ ბრძოლა ზღვაში დაწყებულ რომ პორტ-არტურის ლიკი დაზიანებული, თუ ეს ცნობა მართალია, მაშინ თითქმის შეუძლებელი ხდება ამ გემების შეკეთება, რომელთაც ჭვედა ნაწილი აქვთ დაზიანებული. რამდენადაც ვიცით, ამ გვარ ზიანის შეკეთებას მხოლოდ «ნოვიკ»-ისათვის, «ბაიანი» და «პალადა» საჭიროებდნენ. ნავთსადგურში მდგარ გემებზე ნავთობიდგან გამოსროლილ ჭურვების მხოლოდ ზედა ნაწილებს დაზიანება შეეძლოთ; ლიტონს კი თუ ეს ხელი ჰქონია და საჭირო მასალა იყოს, თითქმის არ მიიტანს. რა ზიანის შეკეთება ადვილად იქნება. დიდი მნიშვნელობა აქვს ესკადრისთვის ნახშირის ქონა-დახარჯვა. დაახლოვებით რომ გამოვიანგარიშოთ, პორტ-არტურში მდგომ 20 გემს დღე-ღამეში 85 ტონა ნახშირის ხარჯავს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ჯავშნიანი გემები ხანგამოშვებით იაპონელებს ზარბაზნებს ესვრიან, კრეისერები და ნაღმიანი გემები კი ზოგჯერ ზღვაში გადიან, მაშინ პორტ-არტურის ესკადრა

დღეში 120 ტონამდე ნაკლები ნახშირი არ მოუხმარებია, რადგან ყველა 20 გემს თან მხოლოდ 12,300 ტონა ნახშირს ატარებს, ამიტომ ეს ნახშირი 102 დღეში უნდა დახარჯულიყო. 29 ივლისიდგან, ე. ი. მას შემდეგ, რაც ესკადრა ბრძოლის შემდეგ პორტ-არტურში დაბრუნდა, ის ნახშირი, რომელიც ამ გემებს ჰქონდათ, დიდი ხანია დაიხარჯა. არ ვიცით, 28 ივლისს კიდევ დარჩა პორტ-არტურში ნახშირი, თუ არა; არც ის ვიცით, საჯარო გემებს იაპონელების ალყა მართლა გაარღვიეს და პორტ-არტურს ნახშირი შეიტანეს, თუ არა. რაც შეეხება საბრძოლო მასალას, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ გემებიდგან გემარელ ნაწილ ჯარს ხშირად ეხმარება ზარბაზნებსა და, ვინ იცის, აქეთ კიდევ თუ არ ეუმატებათ.

ადმირალ როჟესტვენსკის საქმე კარგად იმ შემთხვევაში დატრიალდება, თუ მის მისვლამდე პორტ-არტური ისევ რუსების ხელში იქნება და იქ მომწყვდეულ ესკადრას ბრძოლის თავი კიდევ ექნება. თუ ეს იმედი გამართლდა, მაშინ ადმირალი როჟესტვენსკი უნდა ეცადოს ჯერ პორტ-არტურის ესკადრას შეუერთდეს, მერე ვლადივოსტოკისას და მას შემდეგ შებრძოლდეს. ამ ბრძოლაში იქნება დამოკიდებული ომის მომავალი. ამ შემთხვევაში ადმირალ როჟესტვენსკის დიდი საქმე დაეწყება კიბერზედ. იაპონელები ჩვენს ადმირალებს არ მოადგანარაკებინებენ და, მაშასადამე, ადმირალი ვირენს არ ეცოდინება, თუ როდის უნდა გამოვიდეს პორტ-არტურიდამ. ეს უნდა შეუერთდეს ადმირალ როჟესტვენსკის. თუ ვირენი თავის მოსაზრებით გამოვიდა, ადვილი შესაძლებელია, რომ იმის დახასიათების მომავალ გემებს კი არა, იაპონელების გემებს შეხვდეს. ეს საქმე მით უფრო ძნელია, რომ თვის ფლოტი პორტ-არტურიდამ 90 მილის მანძილზე დგას და ვირენი მას წასვლის დროს ძალიან ძნელად გამოეცნობს. რათა რუსეთის ფლოტი ნაწილ ნაწილად არ დამარცხდეს, ადმირალი როჟესტვენსკი ტოგოსთან ბრძოლას უნდა მოერიდოს და პირდაპირ პორტ-არტურში შემეცადოს შეერთდა. თუ როჟესტვენსკის ამ გეგმა გაბედული აუსრულდა, მერე შეუძლიათ პორტ-არტურელ გემთა მოერიდოს და ტოგოსთან შებრძოლება თვითონვე მოინდომოს. ამავე დროს ვლადივოსტოკის რაზმი უკვე ზღვაში უნდა იყოს. მხოლოდ ადმირალი ივისგე როჟესტვენსკის რამდენიმე დღით ადრე უნდა გავიდეს ზღვაში. (რუს. ვედ.).

**წვრილი ამბები.** გაზ. «ტაიმსის» ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ: იაპონელებს ძალიან გაუკვირდათ, როცა წაიკითხეს «რეიტერის» დეპეშა, რომელშიაც ნათქვამი იყო, ვითომ იაპონელებს ძალიან გაუხარდებოდათ რუსეთის ინგლისელებზე—იმისთვის, რომ ინგლისელებმა რუსეთის ესკადრას ნახშირი მიაწოდეს. იაპონელები ინგლისელების თურმე სულ არ ჰკიდებიათ და არც გაზეთები აქეზებენ ამას ყურადღებას. იაპონელები ძალიან გაჯავრებულნი არიან ესპანეთზედ, რომელშიაც თავისნისაეთვე კონვენციის მოპირდაპირეთ, ვითომ მეზობლოლ ფიზენის ესკადრისთვის მიდისდ. სპანეთი ზიანს კი ისევე დაზიარეს. იაპონელები ეჭვი იქნება, რომ ბალტიის ესკადრის ხეალთ ნახშირს მიაწოდებენ, სჭირ ძალიან ნათმამეთა მდგომარეობაში ჩავარდება ამერიკისა, და ნეიტრალიტეტის დარღვევას უსაყვედურებენ. ამის შესახებ პოლიტიკური ჯგუფები ტოკიოში ლაპარაკს ხმოდ ადებენ. (რ. ვ.).

# ახალი ამბავი

**კომისიათა სხდომები.** დღეს, ხუთშაბათს, 25 ნოემბერს, ქალაქის გამგეობის სადგომში კრება ექმნება კომისიას იმის თაობაზედ, რომ შემოღებულ იქმნას ქ. ტფილისის ყველა საპოლიციო უბნებში ღარიბთა სამზრუნველო. დღესვე კრება ექმნება იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოებისთვის ქალაქის მიწის დათმობა ვერაზედ, სატივოსთან. ამ ადგილს ხსენებულმა საზოგადოებამ უნდა გაჰმართოს საბავშვო ბაღი. ხვალ, 26 ნოემბერს, კრება ექმნება ხალხის ჯანმრთელობისთვის მზრუნველ კომისიას.

*** **მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა** გენერალმა მალამამ კავკასიაში ცხოვრების ნება დართო ბათუმის ოლქის, სოფ. მილისის მცხოვრებს ნიკ. ალექსის ძეს სანაძეს, რომელსაც კავკასიაში ცხოვრება აღკრძალული ჰქონდა.

*** **კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე,** გენერალ-ლეიტენანტი ი. დ. მალამა ჩრიცხულ იქმნა ყუბანის ყაზახთა ჯარებში.

*** **ხმოსნების განცხადება.** ქალაქის საბჭოს ხმოსნებმა ბ-ნო სტ. თ. ქრელაშვილმა და ა. ს. ბაბოევმა განცხადება გადასცეს ქალაქის მოურავის მოადგილეს თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილს. ხმოსნები ამ განცხადებაში ამბობენ,—საჭიროა, რომ საგუბერნიო ქალაქთა მოურავებმა მონაწილეობა მიიღონ მოსკოვში განზრახულ ქალაქის მოურავთა კრებაზედაო.

*** **ხოლერა.** ბათუმშიაც იჩინა თავი ხოლერამ. 21 ნოემბერს ბათუმის სადგურზედ ხოლერის მზგავსის სენით ავადმყოფი აღმოაჩინეს 3 კაცი. ბაქოში 21 ნოემბერს ავად გამხდარა ერთი, გარდაცვლილა ერთი; ბალახანაში ავად გახდა სამი, გარდაიცვალა—სამი.

*** **ჭლექთან მებრძოლ კავკასიის საზოგადოების** წევრთა საზოგადო კრება დანიშნულია დეკემბრის 1-ლ რიცხვებში. კრებამ უნდა ამოირჩიოს გამგეობის წევრნი და თავმჯდომარე. ვისაც ამ ახალ საზოგადოებაში წევრად ჩაწერა სურთ, მიჰმართონ საზოგადოების დროებითს ხაზინადარს ექიმს ა. ი. ხატისოვს.

*** **ფერშალთა საჭიროება.** ერევნის საგუბერნიო ექიმი აცხადებს, რომ საჭიროა ხოლერასთან საბრძოლველად ერევნის გუბერნიაში სამი ფერშალი, რომელთაც თვეში 60 მანეთი ექმნებათ ჯამაგირად, გარდა საგზაო ხარჯისა. განცხადებანი და თხოვნები უნდა გაიგზავნოს ერევნის საგუბერნიო სამმართველოს სამკურნალო განყოფილებაში.

*** **ახალი კვირეული ჟურნალი.** როგორც მკითხველებმა უწყიან, ბ-ნმა ბორის სიმონის ძე ესაძემ შუამდგომლობა აღძრა სათანადო მთავრობის წინაშე, რომ ნება დაერთოთ გამოეცა ტფილისში ყოველ კვირეული ჟურნალი „Кавказскій Край“. ეხლა, როგორც შევიტყეთ, ეს შუამდგომლობა შეუწყნარებია მთავრობას და ნება დაურთავს.

*** **საგუბ. სამხედრო საკრებულოში.** გუშინ-წინ, 23 ნოემბერს, ტფილისის საგუბერნიო სამხედრო საკრებულომ, ვიცე-გუბერნატორის ალიშევსკის თავმჯდომარეობით, განიხილა იმ ყმაწვილ-კაცთა საჩივრები, რომელნიც უკმაყოფილონი იყვნენ მაზრის სამხედრო საკრებულოთა დადგენილებით. ბორჩალოს მაზრიდან საჩივარი შემოიტანა 34 კაცმა; აქედან 27 საჩივარი საგუბერნიო საკრებულომ უყურადღებოდ დასტოვა, ხოლო ხუთი მომჩივანი დაიბარა მეორედ გასაშინჯად და შესამოწმებლად; ორის შესახებ დაადგინა მოახდინოს გამოძიება და, თუ მართალი აღმოჩნდა მათი საჩივარი, დააკმაყოფილოს. ქალაქ ტფილისიდან სამხედრო სამსახურში მიიღეს 259 კაცი, ამათში ურევია ყველა ის, რომელთაც მეორე ხარისხის შეღავათი ჰქონდათ. მიზეზი ამისა ის არის, რომ უშეღავათონი ბევრნი დაიმალნენ და არ გამოცხადდნენ. დამალულთა რიცხვი ტფილისში 68-მდეა.

*** **ჯარში გაწვეულნი.** წელს ტფილისის მაზრიდან კენჭის ამოსახებად გაიწვიეს 575 კაცი. აქედგან პირველ ხარისხის შეღავათი ჰქონდა 169 კაცს, მეორე ხარისხისა 121 კაცს. მიუღიათ სამსახურში 254 კაცი.

*** **მთელის ტფილისის გუბერნიიდან** ქ. ტფილისითურთ წელს ჯარში გაყვანილ იქმნა სულ 3,416 კაცი.

*** **რკინის გზის მოხელეთა გაგზავნა.** ამიერ-კავკასიის რკინის გზიდან კიდევ გაიწვიეს იმიერ-ბაიკალის რკინის გზაზე რვა მემანქანე.

# რუსეთი

ამ დღეებში დაბრუნეს სამშობლოში ლიტერატორი მიაკოტინი, წევრი «რუსკ. ბოგატ.»-ს რედაქციისა, გაგზავნილი სამის წლით ფონ-პლევეს მინისტრობის დროს.

— არხანგელსკში იყო გაგზავნილი 26 კაცი და ისიც განთავისუფლებულ იქმნა. იმათი სახელი და გვარი დაბეჭდილია გაზეთებში.

— მთლად არხანგელსკის გუბერნიიდგან გაანთავისუფლეს კიდევ 54 კაცი, ზოგი ინტელიგენტი, კაცი და ქალი, ზოგი მუშა და ხელოსანი. არიან მათ შორის სტუდენტიცა, ექიმებიცა, როგორც კაცნი ისე ქალნი. არხანგელსკის გუბერნიაში დარჩა კიდევ 560 კაცი პოლიტიკურის დანაშაულობისათვის გაგზავნილი.

— დააბრუნეს აგრედვე ნაფიცი ვექილი ლოგაშკინი, სტავროპოლელი, თეოლოგოვი, ხმოსნად ნამყოფი ბალაშოვის საბჭოსი. 76 ხმოსანმა ითხოვა მისი დაბრუნება მინისტრის სვიატოპოლკ-მირსკისაგან.

— **ნაფიც-მსაჯულთა აუცილებელის საჭიროება.** გაზ. «პეტ. ვედ.» ატყობინებენ ტომსკიდან, რომ ადგილობრივ სასამართლოს მაგისტრატურას შუამდგომლობა აღუძრავს უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ შემოღებულ იქმნას ციმბირის მთელს მხარეში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. ასეთი შუამდგომლობა იმ გარემოებას გამოუწვევია, რომ აწ არსებული სასამართლოები ვერ აუდიან საქმეთა დანიშნულს დროზე გარჩევას და ბევრი საქმე გაურჩეველი რჩება მთელის თვეობით. ერთად ერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან ასეთი არა სასიამოვნო მოვლენა თავიდან აგვაცილოს, არის ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება, რომელიც ბევრად დააჩქარებს საქმეთა ჯეროვანს გარჩევას და მთავრობასაც, შედარებით, ბევრად უფრო იაფად დაუჯდება. მთავრობა ამ შუამდგომლობას მალე განიხილავს და, როგორც გაზეთი ირწმუნება, დააკმაყოფილებს კიდეც.

როგორც ჰხედავთ, მკითხველო, შორეულ ციმბირის გუბერნიებში მალე დააარსებენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებს, მაშინ, როდესაც ეს მწვავე საგანი კავკასიისათვის დღესაც უყურადღებოდ არის დატოვებული.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზ. «რუს»ს მოჰყავს შემდეგი ადგილი ბან. სვოიაკის ერთ პოლონურ წიგნიდან „Въ виду войны“.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რუსეთის მთავრობა რომ არა ბრკოლდებოდეს უმწვერვალეს ელემენტების მოქმედებით, რაიცა ყოველს ერში შეინიშნება მაშინაც-კი, როცა ცხოვრება მშვიდობიანად მიმდინარეობს, და ჰხელმძღვანელობდეს შმარიტის სახელმწიფოს ინტერესით, აქამომდე შესცვლიდა თავის მოღვაწეობის სახეს პოლონეთის სამეფოში, გააუქმებდა განსაკუთრებულს კანონებს, უზრუნველჰყოფდა პოლონურ ენის იმ უფლებას, რომელიც სამართლიანობით უნდა ეკუთვნოდეს, როგორც მკვიდრთა დედა-ენას, სახელმწიფო ენასთან ერთად. ამასთანავე, მთავრობას რომ შემოეღო ისეთი დაწესებულებანი, რომელიც ცნობილია თვითმმართველობის ორგანოებად, მიეცა სამუშაო საზოგადოების ჭკუისა და მარჯვენისათვის და მით ეშველნა ზოგიერთ აზრების კაცთათვის ერთობილ ძალად გადაქცეულიყვნენ, დარწმუნებული ვარ, მთლად ჩვენი საზოგადოება მეამბოხეებსკი აღარ გაუწევდა მომხრეობას, არამედ იმათ მხარეზედ იქმნებოდა, რომელთაც მშვიდობიანი, მედგარი გამრჯელობა, თუნდა სიძნელით სავსეც, მიაჩნიათ ერთად-ერთ წინდად და თავმდებად თავიანთ სამშობლოს ქვეყნის კეთილ-დღეობისა.

—

ციმბირის გზაზედ სხვა და სხვა დროსა და სხვა და სხვა ადგილას დაკარგულა 400 ვაგონი ფარჩეულითა და კრემნიოვი ასე ოხუნჯობს ამ დანაკარგისათვის: მართლა სამწუხარო და უსიამოვნო ამბავია, «გამომწვეველი შავთა ფიქრთა და კაეშანისა მწარისა».

გასაკვირველი კი არა არის რა. ჟამსა მშვიდობისასაც იკარგებოდა რუსეთის სხვა და სხვა რკინის გზაზედ ხან ერთი და ხან ორი ვაგონი შაქრით დატვირთული, ბაკალეით სავსე, ჩითეულობით გატენილი.

ამას წინათაც არ იყო, რომ მთელი აქია შესდგა იმისი, თუ როგორ დაიკარგა პატარა ბოჩკა, სავსე კონიაკითა, რომელიც საფრანგეთის განსვენებულს პრეზიდენტს ფორს გაეგზავნა ფეშქაშად ორენბურგის მხედრობისათვის.

მაშინ შესდგა თურმე «საქმე» და დიდი მიწერ-მოწერა გაიმართა კანცელიარსათა შორის «საგანსა ზედა კონიაკის პოვნისასა». გამოირკვა ამ მიწერ-მოწერით, რომ კონიაკი «ამოჰქრაო».

«სიცხემ უყოფო», ამბობდნენ რკინის გზის მოხელენი.

ალბად ასევე მოუვიდა საქონელსაც: სიცხემ თუ დაადნო, ან სხვა ამისთანა რამ საქმე თუ დაემართა.

რა არ მოჰხდება პირსა ზედა ქვეყნისასა! ხოლო თუ დაიკარგა არა ერთი, არამედ 400 ვაგონი, ეგ არაფერია: ჯეროვანი და გულ-დამშვიდებული გამოკვლევა აღმოაჩენს, რომ შეიძლება მაგ საგანსაც წესიერი განმარტება მიეცეს.

«ომი», როგორც სწერენ გაზეთებში—დიდს ძალ-ღონეს ითხოვს ერისაგან. დროსა მშვიდობისასა მაგ ძალ-ღონის გამოჩენა საჭირო არ არის და იმიტომ მხოლოდ ერთი ვაგონი იკარგება.

დროსა ომიანობისასა, როცა დიდი ძალ-ღონეა გამოსაჩენი, იკარგება 400.

ეს იმას ამტკიცებს მხოლოდ, რომ ერის ძალამ იმატა 400-ჯერ!..

# თეატრი და ხელოვნება

—

**ქუთაისის ქართული თეატრი.** კვირას, 21 ნოემბერს ქუთაისის ქართულმა დასმა წარმოადგინა ახალი პიესა «ჩრდილოეთის გმირნი», დრამა 4 მოქმ. იბსენისა, ქართულად თარგმნილი ნ. გეგელაშვილისაგან. პიესა უცხოეთის ცხოვრებიდან არის ამოღებული, მაგრამ იმდენად რთული და არეულ-დარეულია მისი დედა აზრი, რომ, რაც უნდა ეცადოთ, ან ვერ მიაგნებთ ამ აზრს, და თუ მიაგენით, განცვიფრებით ეკითხებით თქვენსავე თავს, რა ჰქონდა აზრათ ბ. გეგელაშვილს, როცა ამოდენა შრომა უკისრნია. ვნახოთ, ეგებ ჩვენი ქვეყნის ცხოვრების რომელიმე მხარე მიემზგავსება, ეგებ ზოგად-კაცობრიობის იდეაა შიგ ჩართული; ეგებ დღევანდელი ცხოვრების გამწვავებულ კითხვებს ეხება და იკვლევს მის მიზეზებს. საუბედუროთ, არც ერთი აქ ჩამოთვლილი ღირსება პიესაში არ მოიპოვება და მიტომაც იყო, რომ პიესამ ის შთაბეჭდილება, შინაარსის მხრივ, ვერ მოახდინა რაც მშვენიერად, გარეგნულის მხრივ სცენის მოწყობამ და მსახიობთა მწყობრმა თამაშმა. მართალი უნდა მოგახსენოთ, არ გესიამოვნებათ მთელი ხუთი საათი იჯდეთ თეატრში ხმა-ჩაკმენდილი და თვალწინ განხორციელებულ სისხლის ღვრას, სისხლის ამოგებას, ჩხუბს და ვაივაგლახს უყურებდეთ, და ისიც ვიღაც უცხო, ჩვენთვის უცხო ხალხისას, სადღაც ზღვებისა და მთების სამეფოში. გან. საკუთრებით მოსაწყენია ამის ნახვა დღეს—მე-XX საუკუნეში, როდესაც კაცობრიობა ხასიათის სიმშვიდეს, თავისუფალ მოღვაწეობას, მოყვარის სიყვარულის და სათნო ცხოვრებას ქადაგებს. ამ დროს რა სანახავია პირველ ადამიანის ველური ხანა, როდესაც მარტო მძლავრ მკლავს და ბასრს მახვილს ჰქონდა დიდება და პატივი. თეატრი თუ სკოლაა, სადაც იზრდება და ვითარდება ხალხის გონება, ფაქიზდება მისი ზნეობა, მაშინ მსმენელნი მოსწავლენი ყოფილან. აი, ამ მოსწავლეების გონებითის განვითარებისათვის თეატრის მმართველიც ისე ფრთხილად და წინ დახედვით უნდა ზრუნავდეს, როგორც სკოლის მასწავლებელი თავის,

---

# ფელეტონი

—

## ნატრისთვალა.

(მოთხრობა).

(დასასრული *)

გაიარა ხანმა. ყველა, გარეული თუ შინაური, დედის ნაცვალი, მამა, და, ნათესავები, დის ქმარი, დეიდა, მამიდა—სულ იმ საგონებელში ივნენ ჩაცვივნულნი და სულ იმის ლაპარაკი ჰქონდათ და აქია ნატრისთვალა ქვრივად, შავებში, როდემდის გვეჯდეს სახლში გულ-ამოლამებული, კარგ უნახავი,—გავათხოვოთ, მოვაშოროთ, სეოს მივცეთო. ნატრისთვალაც იმდენად მიეჩვია ამ აზრს, რომ წინანდებურად აღარ ეუცხოვებოდა გათხოვებაზე ლაპარაკი, გული აღარ შემოჰკვნესოდა. სეოს დანახვა, მასთან მუდამ ჟამს ყოფნაც კი სანატრელი გაუხდა ნატრისთვალას. როდესაც-კი სადმე მოჰკრავდა სეოს თვალს, ამისი აღდგომის დღე იყო, მაგრამ ლაპარაკი ამათ შეუღლებაზე როგორღაც შორს მიდიოდა, ჰიანურდებოდა. ნატრისთვალას მამამ მალხაზსაც დასაქმა.—მალხაზი ამისთანებში ზედ გამოჭრილი იყო. გამოცდილ, დარბაისელ, შუახანს გადასულ, ყოველგვარ ჭირ-ვარამ გამოვლილ მალხაზს რა უნდა გასძნელებოდა, ამის ენა ტკბილად მოუბრობას რა დაუდგებოდა წინ, მაგრამ დახეთ, მალხაზის მეცადინეობას,—სეოსა და ნატრისთვალას ქორწინებას—შუაში კედელსავით დამაბრკოლებელ მიზეზად პატარა ნუცკა, ნატრისთვალას ქალი გაჰხდომოდა. ყველაფერი გახერხებული იყო, სეოსაც გაგიჟებით სურდა ნატრისთვალას ცოლობა, მაგრამ შინაურები სეოსი, ძმები, დედა, რძლები—წმინდა უარზე იდგნენ. «რად გვინდა მაგისი მარტო ცარიელი სილამაზე, თუ კი ცარიელ-ტარიელი გატლეკილი შემოვარდება ჩვენს სახლში და თან ქალსაც მოიყოლიებსო.—ცარიელ-ტარიელი იყოს, ჯანი გავარდნოდა, ქალი მოსდევს გერად, არ გვინდაო, ქვეყანაზე ქალები გაწყვეტილანო?!..

მწარედ დასთუთქა გული ამ სიტყვების გაგონებამ ნატრისთვალას, ასე გონია, ცა და დედამიწა თავზე დაანგრიესო. ფიქრობდა, იქნება ეხლა მაინც ღმერთმა მიშველოს და გადმომხედოსო, ამდენს ტანჯვასა და სხვათა შეხედულობას თავს დავაღწევო და დახეთ?!.. „აქ მოდი, დედა გენაცვალოს, შვილო, ნუცკავ, მიუალერსა ნატრისთვალამ შვილს და ტკბილად, სიყვარული ჩაჰკოცნა,—დედა გენაცვალოს ნუცკას, თუ ვცხოვრობ და თვალები მიხელია—ამისათვის. ტიტიკოს მოსაგონრად ამის მეტი ვინ დამრჩენია?!..“ ჰფიქრობდა ნატრისთვალა. მერე უცბად გაუელვა თავში: «ნუცკა რომ არა მყვანდეს, ხომ აქამდის გათხოვილიც ვიქნებოდი, დაბინავებული» და ამ ფიქრში შვილს გადაჰხედა: «რასა ვბოდავ, რა ღმერთი გამრისხვნია,—დარცხვენილის საყვედურით მიჰმართა ისევ თავის თავს ნატრისთვალამ და ნუცკა მუხლებზე დაისვა.—«ოღონდ შენ ცოცხალი მყვანდე, შვილო, და ქმრის ლუკმას აღარ შევჭამ, ნაცარს ავფშრუკამ და ისე გავატარებ ამ ძაღლუმადლო სიცოცხლეს»... «აკი გაგიჟებით უნდა იმასაც შენი თავიო—აბა ეგ რა სიყვარულია. შვილს ხომ არ ვადავაგდებ, ძალათ ხომ არ მოვკლავ, ადამიანის სისხლში არ ჩავდგები»—ჰფიქრობდა გულმოსული ნატრისთვალა, მაგრამ თავისს თავს ისევ თვითონვე ინუგეშებდა: «მოსავალს მოცდა უნდა, იქნება სეოს საქმე როგორ არის, ათასიც რომ ძალზედ უნდოდეს ჩემი თავი, დედასა და ძმებსაც უნდა დაეკითხოს, უიმისობაც არ იქნება, მაგრამ როგორც უნდა იყოს, კაცი არ იქნება, ქუდი თავზედ არ ეხურება, თუ ისინი იმას თავის ჰკუაზე გაატარებენ, როდესაც ნახა, მე ქალი მყავს... ვნახოთ, გამოჩნდება, თუ უნდივარ მე, ძმებსაც თავს დაანებებს და თავის გულის ნამდომს კი აასრულებს»... ასე იმედოვნებდა ნატრისთვალა და ბოლმისაგან მოკლულ გულს იქარვებდა...

### II

ნოემბრის პირველი რიცხვებია. მთელი შემოდგომა ორ-სამ დღე გამოშვებით სწვიმს. შეაწუხა ქვეყანა ამდენმა ავდრიანობამ, უმეტესად მხვნელ-მთესველნი. საწყლებმა წელს ნასამედი ვერ მოხნეს, რა ეშველებათ?!.. აგერ ამ საღამოთაც უცბად მოიღრუბლა ცამ.—კავკასიონის თეთრად გადაპენტილ ქედიდამაც დაიძრა ჯანღი. აი მძიმე-მძიმედ მოიპარება, აი მთელი სოფელი საჩქაროდ ბურუსში გაჰხვია. წმინდად სცრის წვიმას. სოფელში აანთეს სანთლები, მაგრამ ამ ბურუსში ოდნავ მბჟუტავ ლამპრებად-ღა მოსჩანან. აი ხურდაანთ ქვითკირის სახლიდამაც გამოაშუქა მკრთალმა სინათლემ,—რაღაც ხმაურობაც მოისმის...

— შვილო, მართლა ეშმაკურაანთ მალხაზს დაავალე რამე?!.—ცოტა არ იყოს წარბებ შეჭმუხვნით შეეკითხა ნატალო თავის შვილს სეოს.

— რა უნდა დამევალებინა?!.—მოკლედ და უკმეხადვე—უპასუხა შვილმა, თითქოს ვერაფერს მიხვდა.

— კაკალაანთ ტიტიკოს ქვრივი ნატრისთვალა გამირიგეო, ცოლად შევირთამო...

— ჯერ ერთი, მე არაფერი დამივალებია—იცრუვა სეომ—და თუნდაც ნამდვილად დამევალებინოს, რა მოხდებოდა, რა საწუნი სძევს ნატრისთვალას?!. დარცხვენით წარმოსთქვა სეომ და გაწითლებული პირისახე სირცხვილისაგან ძლივს ასწია მაღლა.

— ჩემის ქრმის სული არ წამიწყმდეს, ყველა ჩემს სალოცავს გეფიცები, ამ ნიშნით ყველა შენი ძმები და რძლები აქ არიან, თუ მაგაზე კიდევ გააჩავებ, კრინტს დასძრავ, მე შენს დედაშვილობაზე ხელი ამიღია და თვალითაც აღარ დაგინახავ—ბრაზ-მორეული წარმოსთქვა ნატალომ.

— რათაო, დედი, რა მოხდა იგეთი, რომ შენ მე მაგრე მიწყრები?!.

— როგორ თუ რა მოხდა, ეხლა დაგიჯერებია, ჩემ თავ-ცოცხალი თუ იმას ჩემს სახლში შემოუშვებ, თვალით უყურებ?!.

— რატო, დედი, იგეთი გონჯია?!. ყინჩად და თამამად წარმოსთქვა სეომ ეს სიტყვები.

— ათასიც ლამაზი ბრძანდებოდეს—რად მინდა მე იმისი სილამაზე, თუ კი იმისი შემოსვლა ჩემს სახლში და ჩვენის სახლის არევ-დარევა ერთი იქნება; ჯერ ერთი ცარიელ-ტარიელი, გატლეკილია, სადა მაქვს იმისი თავი, რომ ბარგი და ყურე მე შეუმზადო..

— მაშ მე იმისმა მზითევმა და ქრთამმა ხომ არ უნდა მაცხოვროს?.. დაიწყო სეომ, მაგრამ ამ სიტყვებზე უფროს ძმა ალექსის გული მოუვიდა და გააწყვეტინა სიტყვა.

— როგორ თუ არ უნდა გაცხოვროს,—ხმა მაღლა დაიწყო ალექსიმ—რა იგეთი დიდი ზინეთისა და დოვლათის პატრონი ჩვენა ვართ, რომ ცოლებიც ცარიელები, ტიტლიკანები მოვიყვანოთ?! აბა, ჩაუკვირდი ჩვენს ცხოვრებას, რა გვაქვს, რა გვაბადია—ე ცარიელი ქვითკირის სახლის მეტი ხომ არა გვიჰუნტვიარა და ერთი ჯაგლაგა ცხენი გვყავს,—სამ სამი კაცის ტარებისაგან ძვალ-ტყავადაა ნაქცევი. აიღე შენი ორი და სამი დესეტინა თამბაქო; ნეტავი ჩვენის ფულით მაინც ვაკეთებდეთ? რაც მოგებაა, მომეტებული ნაწილი ფულის პატრონს მიაქვს,—ჩვენ ცარიელი ჯაფისა და წვალების მეტი რა გვრჩება! აი ათასში ერთხელ თუ მოვიკრავთ რასმე ახალს ტანზე და ბედნიერ დღეს ცოლშვილში დროებას გავატარებთ—აბა სხვა რა გვრჩება ხელთ. ახლა კიდევ ცოლი გაიხადე სახათაბალოდ, წელიწადში ხუთი ხელი ტანისამოსი მოგინდომოს და აბა მაშინ აგვიშენდება ოჯახი!. სხვა არა იყოს-რა, ვერა ჰხედავ, ფოშტის ფულის გადახდის იოლსაც ვეღარსად გავმხდარვართ?!...

— შენ ეგ რათ გინდა, ალექსი, იმის სიტიტლიკანეს ვინღა იჩივლებდა, რომ მეორე მჭამელი და სახლის გამღარსვლელი თან არ მოჰყვებოდეს,—გააწყვეტინა სიტყვა დედამ.

— ჯღანოაანთ სტეპკომ კი უშვილო ქვრივი უნდა მოიყვანოს, როდესაც შენ ის მამად შეგფერის, ჩემო მაზლო,—ჩაურთო ეშმაკურის ცბიერებით სეოს რძალმა გაიანემ,—და შენ კი გერი უნდა მოიყოლიო, ერთი წლის ნაქორწილევმა?!...

— იმას თავისი ჭკვა აქვს და მე ჩემი—მიუგო სეომ, ამ შედარებით გულ ნატკენმა.

— აუტკივარი თავი კაცმა ძალათ აიტკივოს, ეგ ჭკვა არის?!.. ჩაერია ლაპარაკში მეორე ძმა სეოსი ქიტელა:—ორი ქალი ზედი-ზედ მეყოლა და ჩემი თავი მე თითონ მეჯავრება—ეს რა ღვთის წყრომაა, რომ ბიჭი არ მიჩნდება-მეთქი, და შენ ძალათ, სხვის შექმნილ-გაკეთებული გერათ უნდა დაისვა სახლში?!.. ბიჭი მაინც იყოს?!..

— ეჰ, აგიტეხნიათ, ბიჭი მაინც იყოსო, ბიჭი რაღაა და გოგო. ეგრე იმაზე იციან, ბევრი გოგოები რომ ეყოლება

---

*) იხ. «ივერია», № 269.

შეგირდებისთვის. ის ერთხელვე გაცნობილი მათ გემოსთან, გონებით განვითარებასთან და ესტეტიურ გრძნობებთან, მუდამ იმას უნდა ზრუნავდეს, რომ შესაფერი შინაარსიანი პიესები მიაწოდოს შეძლებისა დაგვარად. თუმცა ეს მოვალეობა ერთი კაცისათვის მძიმე მოვალეობაა, ვინც უნდა იყოს, მაგრამ, თუ ჩვენის ხალხის წარმატების გზაზე სვლას თანავუგრძნობთ, ყველა მოვალე ვართ დავეხმაროთ თეატრის მართველობას და ეს ნაკლი სხვა გზით შევავსოთ.

ჩვენის აზრით, ისევ ჩვენს საყვარელს მსახიობს ვ. მესხიშვილს უნდა მივმართოთ და ვსთხოვოთ, რომ მიიღოს ეს შრომა და ქ. ქუთაისში მცხოვრებ ჲ თეატრთან ახლო მდგომ კაცთაგან კომისია შეადგინოს და დაავალოს შემდეგი: წლის განმავლობაში დაიბარონ პიესების კატალოგი. ამოირჩიონ ისეთები, რომლებიც თავის შინაარსით და იდეით ნამდვილ თანამედროვე ცხოვრებას ეხებოდეს და შეეფერებოდეს ჩვენს ცხოვრებასაც. გადასცენ ისეთ ცნობილ მწერლებს, რომლებსაც შეუძლიათ ქართულად სთარგმნონ და მოაწოდონ თეატრს, თუგინდ სასყიდელი მოითხოვონ ამისთვის და ამ გვარის პიესებისაგან შემდგარ რეპერტუარით დაიწყებოდეს ხოლმე სეზონი ყოველ წლივ.

ეს ყველაფერი პიესის შინაარსმა გვათქმევია, ახლა მის აღმასრულებელ მსახიობზედაც ვსთქვათ რამე. უმთავრესი როლი ორნულფ—მხედართ-უფროსის (ბ. გამყრელიძე) როლია. ორნულფი მოხუცია და, თუ ბ-ნ გამყრელიძის თეთრ წვერ-ულვაშს არ დავივიწყებთ, კაი ხნის მოხუცია. იგი გამსჭვალულია ვაჟკაცობის, ძალ მომრეობის, მტრის სისხლის ამოგების და დიდების გრძნობებით. ეს გრძნობები დღე არ აძლევს მოსვენებას და ღამე. ვერ წარმოუდგენია ვისმეს წინაშე ქედის მოხრა-დამონება. ყველაფერს ანაცვალებს ვაჟ-კაცობას, ომში სიმძლავრეს, მტრის სისხლის ღვრას, აწიოკებას და ეს ბუნებითვე ჩანერგული ხასიათი ადგილობრივ პირობებს კიდევ უფრო გაუკაჟებია—გაუსალკლდევებია და მიტომაც არის, რომ არაფრად აგდებს, ადვილათ ინელებს შვიდი შვილის ომებში დაკარგვას და იმ მძიმე ჭრილობასაც, რომელიც სიგურდმა (ვლ. მესხიშვილი) დააჩნია. ამ გვარი მოხუცი სწორეთ ნათლად და სრულებით უნაკლოთ დაგვიხატა ბ-ნმა გამყრელიძემ, და არც გამკვირვებია, რად გან გამყრელიძე სწორეთ რომ ამგვარ როლებისთვის არის გაჩენილი. მისი ხმა, მოძრაობა, დინჯი ლაპარაკი, სრულებით ძალ დაუტანებელი, ბუნებრივი განსაკუთრებით მშვენიერი იყო ზღვის პირას, შვილების დასაფლავების შემდეგ. ათრთოლებულის ხმით მის სიმღერაში მკაფიოდ მოისმოდა მოხუც გულის სიღრმიდან ამოვარდნილი მწუხარე კვნესა და სიბრალულის გრძნობას იწვევდა ყველასაგან.

ამის შემდეგ მეორე როლი უფრო რთული და ძნელი ასასრულებელი იორდისის როლია (ქ. რონელი). იორდისი თავისი ვაჟკაცობით, ხასიათის სიმტკიცით და გმირობით უფრო მამაკაცია, ვიდრე ნაზი, სათნო ბუნების პატრონი დედაკაცი. ველურ ქალს წაავავს; შებრალება, ცოდვა, ალერსი სიზმრადაც არ უნახავს. იმასაც ისე გაჯდომია ძვალსა და რბილში სისხლის ამოგება, სიმძლავრე, სხვაზე ბატონობა, როგორც მისს მამობილს, მოხუცს ორნულფს. ამ გვარ ხასიათებს იგი გაუქალბიჭებია და კიდევ უფრო დაუშორებია ქალთა საზოგადოებისაგან. ამ გვარი ქალი ქ. რონელმა მშვენიერად დაგვიხატა. ძისი მძლავრი მამაკაცური ხმა, მკაცრი სახის გამომეტყველება და საშიშის თვალების მოძრაობა— ნამდვილ გეუბნებოდათ, რომ თქვენს წინაშე არამც თუ ქალი, ეს სუსტი და მშიშარა არსება, არამედ გმირი, ვაჟ-კაცობით აღჭურვილი მამაკაცი დგასო. თავიდან ბოლომდის მშვენივრად ჩაატარა ეს როლი და საზოგადოების ყურადღებაც შესაფერად დაიმსახურა. ამ გვარ როლებში ყოველთვის კარგი იქნება ქ. რონელი, თუ ცოტაოდენ ლაპარაკის აქცენტს მიაქცევს ყურადღებას და გაისწორებს. მაგიერ სიყვარულის გრძნობის გადაცემა, მის გამოსახატავი ტკბილი, ალერსით სავსე მუსიკი არ ეხერხება და არც დაველოდურებით, რადგან ეს მის ბუნების ბრალია და ბუნების წინააღმდეგი ვის რა შეუძლია?!

სიგურდის როლი (ბ-ნი ვლ. მესხიშვილი) ისეთაც უფერული, მკრთალია და მის აღმასრულებლის როლის უცოდინარობამ კიდევ უფრო დაამცირა, სახე დაუკარგა. მწყობრათ ჩაატარეს თავის როლები გვარაძემ, დავითიშვილის ქალმა, ბაქრაძემ და ზარდალიშვილმა, თუმცა კი ძნელი გასაგები იყო, ვის ან რა ტიპის ადამიანებს გვიხატავდნენ...

ეს მეხუთე თუ მეექვსე დრამაა, რაც ამ სეზონში ჯერ-ჯერობით წარმოდგენილა ჩვენ სცენაზე და კვლავაც დრამებს უნდა მოველოდეთ, რადგან ბ-ნ მესხიშვილის გამოცხადებულ რეპერტუარში სულ დრამებია. ცუდს არ იზამდა ბ-ნი მესხიშვილი, რომ ამდენ სამწუხარო და გულ-დასათუთქავ დრამებში თითო ორ-ორ კომედიებსაც გაურევდეს, რომ ამით ცხოვრებას უფრო დაგვაახლოვოს და თეატრიც შეგვაყვაროს. ცხოვრებაც ხომ ამას მოითხოვს. იქ, სადაც მუდამ წუხილი, გულის ქენჯნა, კვნესა-ოხვრაა გამეფებული, ცხოვრებაც ერთმხრივ განვითარებას იღებს და თავის მკვიდრსაც პესიმისტურ ბეჭედს ასვამს, მაგიერ, სადაც ამ გვარი მწუხარება—კვნესა-ოხვრა და გულის გმინვა დროგამოშვებით მხიარულის სიცილ-ხარხარით და სიხარულით იცვლება, იქ ცხოვრება ყოველთვის ნორმალურად და წესიერად მიმდინარეობს. სკოლებში, როცა კი მასწავლებელი ბავშვებს მოღლილობას, უყურადღებობას და მოწყენას შეამჩნევს—ყველას ზეზე ააყენებს, გიმნასტიკურ ვარჯიშობას გააკეთებინებს და რაიმე სამხიარულო სიმღერას ათქმევინებს. ხუთს ან ექვს წამს ამ გვარათ გამოაღვიძებს—გამოაცოცხლებს და შემდეგ ყოველგვარ მის გადანაცემ სწავლას სიხარულით ეგებებიან. აი ეს მეტოდი უნდა იხმაროს თეატრის გამგებელმაც. ერთგვარობა მოძულდება საზოგადოებას—უნდა ეცადოს რეპერტუარის შეცვლას, მის გადახალისებას. ამით ცხოვრებას და თეატრს ერთმანეთს დაუახლოვებს და მოსალოდნელ სარგებლობასაც მოიტანს.

თუმცა ცუდი ამინდი იყო, მაგრამ თეატრი მაინც სავსე იყო მაყურებლებით, რაც იმისი ნიშანია, რომ დიდს ღვაწლს და შრომას პატიოსან საზოგადო მოღვაწისას—ყველა შეიყვარებს და დააფასებს.

თარხანი.

## „ივერიის ფოსტა“

**ზ. ლადოშვილს.** თქვენი ლექსები არ დაიბეჭდება.

**ს.** ლექსი „მართმყოფი“ არ დაიბეჭდება.

**ხონში.** Si-ს. თქვენი წერილი ხონის გემრიელსა და ტკბილს ვახშამზე დიაღაც დასაბეჭდია, მაგრამ ვაი თუ გაუმწარდეთ ვახშმის გამკეთებელთ და მის სტუმრებს და ამ გამწარებისათვის ვაი თუ ჩვენ საჩივარი აგვიტეხონ! ნუ დაგვიწყებთ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

### დილის დეპეშები.

23 ნოემბერი.

**ტოკიო,** 22 ნოემბ. (რეიტ.) გრძნობა აღშფოთებისა ერში თან და თან ძლიერდება იმ შემწეობის გამო, რომელსაც აძლევენ ნეიტრალი სახელმწიფონი ბალტიის ესკადრას. დიდი მზადებაა ამ ესკადრისათვის დასხვედრად. ემზადება მეტადრე ფლოტი. მეზღვაურნი დარწმუნებულნი არიან, რომ შესძლებენ თავიანთი მოვალეობა აღასრულონ, თუ ბრძოლა თანაბარ სამართლიან ვითარებაში მოხდება ორივე მებრძოლთათვის. რაიცა შეეხება ხმელეთის ჯარს, აქა ჰგონებენ, შესაძლოა რუსთა ესკადრამ შესწყვიტოს მიმოსვლა იაპონიასა და ლიაოდუნის ნახევარ კუნძულს შორისაო. უმაღლესი ადმინისტრაცია იაპონელთა მანჯურიის ჯარებისა ახლავე ჰზრუნავს, რომ მიიღოს ყოველივე ღონისძიება, რათა ბალტიის ესკადრის მისვლამდე ისე მოაწყოს საქმე, რომ შესძლოს განგრძობა ბრძოლისა რამდენსამე თთვეს იაპონიასთან მიუსვლელ-მოუსვლელადაც.

**ვენა,** 22 ნოემბ. რუსეთის ელჩის გამოსვენებამ დიდის სამგლოვიარო მანიფესტაციის ხასიათი მიიღო. მანიფესტაციაში მონაწილეობა მიიღეს მთლად სადიპლომატო კორპუსმა, უმაღლესის სახელმწიფო თანამდებობის კაცებმა, არისტოკრატიამა და გენერალიტეტმა.

**ტოკიო.** (რეიტ.). იაპონელნი განაგრძობენ ზარბაზნების სროლას პორტ-არტურის ასაღებად. ყველას ისე ჰგონია, რომ რუსთა ფლოტი იძულებული იქმნება გავიდეს ნავთსადგურიდან, თორემ შესაძლოა ისე დაზიანდეს, რომ შეკეთება ველარ მოხერხდესო.

**სტამბოლი,** 22 ნოემბ. რადგან ხოლერა გაჩნდა რუსეთის ზოგიერთს ქალაქებში, დაწესებულ იქმნა ხუთის დღის კარანტინი იმ გემებისათვის, რომელნიც მიდიან ფოთიდანა და ბათუმიდან მექაში წასასვლელ მლოცველებით.

**ვაშინგტონი,** 22 ნოემბ. (რეიტ.). სახელწიფო სეკრეტარი გეი ცირკულიარულს ნოტას ამზადებს დიდთა სახელმწიფოთა მიმართ და ჰფიქრობს, ამ ნოტაში მოიყვანოს ყველა პასუხი, რომელიც კი მიიღო ამერიკის მთავრობამ იმათგან, ვინც მიიწვია და ვისაც შეუთვალა, მიიღეთ მონაწილეობა ჰააგის კონფერენციაშიო.

**ბელგრადი,** 22 ნოემბ. ორმა კლუბმა, რადიკალთა და დამოუკიდებელთა, გადასწყვიტა მოსპონ ერთმანერთობა. თითოეულმა ფრაქციამ ცალკე დასი შეადგინა. რადიკალთა კლუბის დეპუტატები, პაშიჩის მეთაურობით, 87 არიან. რაკი ეს რიცხვი უმეტესობაა, სკუპშჩინის თავმჯდომარემ მიუთითა მეფეს პაშიჩზედ, ეგ უნდა იყოს მინისტრ-პრეზიდენტი ახალის კაბინეტისაო, მაგრამ როცა მეფემ სთხოვა პეშიჩს მეთაურობა კაბინეტისა, მან უპასუხა, ჩემ მიერ კაბინეტის შედგენა უეჭველად სუპშჩინის დათხოვნას გამოიწვევსო, რაც ამ ჟამად უდროვოაო. ამიტომ პაშიჩმა უარი სთქვა,—ისევ გენ. გრუიჩს მიანდეთო, ჰგონებენ, რომ გრუიჩი მოახერხებს კაბინეტის შედგენას და პაშიჩსა სთხოვს გარეშე საქმეთა მინისტრობასა.

**ბერლინი.** დეკემბერში აბაშეთს მიდის განსაკუთრებული კრებული დესპანებისა სავაჭრო ურთიერთობის ჩამოსაგდებად.

**ჰელსინგფორსი,** 23 ნოემ. საიმპერატორო სასახლის პატარა დარბაზში ფინლიანდიის გენ.-გუბერნატორმა გარდასცა მარშლის კვერთხი სენატის თავმჯდომარის ამხანაგს ეგერმეისტერს ლონდერს, რომელიც დანიშნულ იქმნა სეიმის ლანდმარშლად. შემდეგ ფიცი მიიღეს ლანდ-მარშალის ამხანაგმა სენატორმა ვეურენჰეისმა, აბოს ლოტრანგთა მთავარ-ეპისკოპოსმა იოჰანსონმა, ბორგოს ეპისკოპოსმა რობერტმა და წოდებათა და სამღვდელოების წარმომადგენლებმა.

**ერევანი,** 20 ნოემბ. ხოლერის საწინაამდეგო ბრძოლისათვის საბჭომ გადასდო 17,000 მან.; ქალაქში 40,000 მცხოვრებელია და მხოლოდ სამი მკურნალი-სანიტარი ჰყავს. შეუძლებელია ასწეროს კაცმა, რაოდენად ანტისანიტარულს მდგომარეობაშია ეს ქალაქი. უფრო მრავლად იწირავს მსხვერპლს ხოლერა ღარიბთა შორის, უფრო გაძლიერდა ავადმყოფობა იმის გამო, რომ მოსლემანთა მარხვა დადგა, დღისით მარხულობენ და ღამე ნაყროვანებას ეძლევიან, მეტსა სჭამენ. მოსალოდნელია, რომ გაზაფხულზე ძლიერ იფეთქებს ხოლერა. საჭიროა ახლავე სასტიკი ღონისძიებანი იქმნას მიღებული ქალაქის გასასუფთავებლად.

**ვენა,** 22 ნოემბ. გრაფ კაპნისტის გარდაცვალების გამო სამძიმრის წერილი მისწერა ავსტრიის იმპერატორმა რუსეთისას და რუსეთისამ მადლობა გადუხადა ავსტრიისას. ამ მიწერ-მოწერაში კვლავ გამოიხატა გულითადი ერთმანერთობა ორივე მონარქისა.

### საღამოს დეპეშები

24 ნოემბერი.

**ლონდონი,** 23 ნოემ. (რეიტერი). ინგლისის მთავრობამ იაპონიის მთავრობისაგან ცნობა მიიღო იმის შესახებ, რომ კარდიფში ინგლისური გემები ნახშირს იღებენ რუსეთის ესკადრისათვის გადასაცემად. ინგლისის მთავრობამ სავაჭრო გემებს ამგვარი ოპერაციები აუკრძალა და ნეიტრალიტეტის დასაცველად ყოველგვარი საშუალება იხმარა. რუსეთის მთავრობას ამის შესახებ არაფერი არ შეუტყობინებია ინგლისისათვის.

**ლონდონი,** 23 ნოემბ. (რეიტერი). ოკუს ჯარში მყოფი «რეიტერის» კორე-

---

ვისმე: «საწყალს გოგოებისაგან თვალები აქვს ამოჭმულიო», მიუგო სეომ.

— თავისი ღვიძლი შვილების გათხოვება გასჭირებია ხალხს, შენ სხვისა შვილი უნდა წამოიკიდო კისერზე სადავიდარაბოთ?!,—მკვახედ შეუტია დედამ.— როგორ თუ სულ ერთია ქალი, ვაჟი? შვილი—შვილია, ორთავეს შენახვა უნდათ, აღზრდაო.

— მაშ რა, ტყუილია?—შეეკამათა სეო.

— მაშ ჭინჭველაანთ ხათას შვიდ ქალში რომ ერთი მაინც არის ვაჟი ჰყოლოდა, იგრე სამადლოდ დასამარხი გახდებოდა?!—საწყლის დამარხვაზე ფქვილიც კი მოაგროვეს, იგრე უბანმა სამადლოთ დამარხა. იმათ დათხოვებას ვერ-ასდიოდა, თუმცა იმას თავისს სიცოცხლეში ერთი დღე კარგი არ უნახავს, სულ სხვათა მოჯამაგირობის უღელში ება...

— ტყავაანთ მოსეს თუ სულ ვაჟები დარჩნენ, ეხლა იმათი დედა მათხოვარასავით კარის კარ არ დაწანწალებს ლუკმა პურის საშოვნელად?!..—უთხრა ცალი სეომ.

— არა, შვილო, მანდ დედაკაცის ბრალია. ის იგეთი გაიჭერა დედაკაცია, ვერც ერთმა რძალმა ვერ იშვდინა. შენ ეგ რათ გინდა, შორს სად მივდივართ— აბა ჩვენი გარემოება ავიღოთ: ცხონებულ მამაშენს რომ ქალები დაენარჩუნებინა თქვენს მაგიერ სიკვდილს შემდეგ, ეხლა ჩემი მტერი, რაც ჩემს თავს დუხჭირობა მექნებოდა. ჯერ ერთი, თავში ქვა უნდა მეხალნა ავად იქნებოდა თუ კარგათ, გოგოები უნდა დამეთხოვებინა— ზოგს ნაქვრივალი წაიყვანდა, ზოგს ისეთი წაიყვანდა, ღამის ვახშამი დანატრულებული ჰქონოდა—მეორეთ ეს ჩვენი მამა-პაპეული ბინაც უნდა გამევერანებინა, გამეყიდნა—მერე, რა?!!... ჩვენ განაყოფებს ციცოსავით თვალები არ ეჩხიტათ ჩვენ არე-მარეზე რა?!..—მესამეც, მეც უნდა ძაღლმადლულოდ ხან ერთ ქალთან მეკანკალნა, ხან მეორესთან და ესე უმადურად ამომსვლოდა დატანჯული სული.

—რას ამბობ, შვილო, რა შედარებაა?!.

— სხვაც არა იყოს რა, ეხლა დაგიჯერებიათ, ჩვენ მეზობელ ელმეცურა შიხაურას დასაცინი გავხდებით, რომ საცა დაჯდება და ადგება, სულ ის ილაქლაქოს—გერიანი რძალი შემოავდეს სახლშიო. სულ ჩვენს მასხარობა და სიცილში იყოს?!. აღარ მოუთმინა გულმა მეორე რძალ პელაგოს, რომელსაც არა ერთხელ ეგემნა შიხაურის გესლიანი ენის სიძლიერე. «ეგ ბიჭის ღირსი ვერ გახდება, ემაგრე სულ გოგოები უნდა აჩინოსო»—იტყოდა ხოლმე შიხაური პელაგიაზე.

— ისიც სათქმელია, რატო?!. აი ყველანი აქა ხართ, ჩემი რძლები ჲ შვილებიც: აქ დასამალი რა არის—ყველანი ჩემი შვილები ხართ, სიღარიბით, ქვრივ-ოხრობით გამოზდილხართ, ყველანი გულზე ერთნაირად მომეჭიდებით. აი ეს თითები, რომელიც გინდა მომჭრათ, ყველა ერთნაირად დამეწვება—ნატალომ ხელი ასწია მაღლა—შენ კარგა იცი, შვილო, რომ შენს რძლებს ყველას თავისი სათავნო აქვს მზითევი და ქრთამი. პირველა ცოლისა ხომ არა შვილი არა დაგრჩა-რა, შენმა სიდედრმა ძაფის დანაფასებიც არა დაგიტოვა-რა—ერთი საბანი რა არის, ისიც არ მოგცა...—შენ არ დაგამარხვინა შენ მკლავზე ნაწოლი ცოლი, რა არის, ბარგს აღარ დაგვანებებსო!.. ეხლა ეგ დედაკაცი რომ მოიყვანო ცარიელი და გერიანი, შენ მერე რა გეშველება?!. განა შენი რძლები თავიანთ ბარგსა და ყურეს იმას მიუბოძებენ-რა!.. შენ ცოლს კი თვალი უნდა რჩებოდეს ყველაფერზე და შენ ხელში უნდა შემოგცქეროდეს?!. აი, მაგან იცის, შვილო, გაყრა; შენ ცოლსა და შვილს სახლიდამ დაუწყებ ჩაცმა-დახურვას, ძმები და რძლები კი მაგას არ მოიწონებენ და სიმძულვარე მოხდება!!.

— რატო ერთი არ გაიგებთ, იქნება იმასაცა აქვს თავისი წილი ქრთამი, მზითევი—იქნება ი გოგოსაც ბიძები ინახავენ და ათხოვებენ?!—წარმოსთქვა გულნაკლულად სეომ.

— მე გაგებულიცა მაქვს და მორჩომილიც. ნატრისთვალას თავის-თავის მეტი არა აბადია რა. სახლიც ძმებს აუღიათ ვალში,—ნატრისთვალას მამა დარწმუნებულია —ნახა ჩემს ქალს ერთი ბეწვა სილამაზე აქვს, ცარიელსაც წაიყვანენ და გერსაც გაათხოვებენო.

—ვიშ, რაღა გვეშველება, რა იგეთი ძალზე ლამაზი კიდევ ის არის! კაცებს თვალები ემაგეთები გაქვთ, თორემ, მე რომ მკითხოთ, იმას ლამაზს არ დაუძახებ—მიუბრუნდა გაიანე მაზლს, რომელიც ამ დროს რაღაც ფიქრებში გაეხვია და რძალს პასუხი არ მისცა. იქნება ნატრისთვალა წარმოუდგა თვალ-წინ?!.

— ნაქონიც რომ ბევრი აქვს და თითონ ქალსაც არა უჭირს-რა, იფნიანურ პაპაანთ საბას ქალს?!—დაიწყო ისევ ნატალომ,— ორი კვირის ნაქორწილევს მოჰკდომია ქმარი ქალს და მამას ერთის კვირის შემდეგვე სახლში დაუბრუნებია თავის ბარგით. აი იმას კიდეც ვითხოვ და ხელსაც მოუმართავ ჩემს შვილს.

— თუ დავნიშნავთ, ეს ეხლავე უნდა დავნიშნოთ, დედი!..—წარმოსთქვა ალექსიმ.

— ერთ დღეს არ ამომასუნთქებთ?!. ჩემი და გაგზავნილი მყავ, ხვალე პასუხს მომიტანს და საქმესაც გავათავებთ—დაბეჯითებულის კილოთი სთქვა ნატალომ.

— ჯერ ერთი მანდ არ შეიტყობთ, იქნება ქალს სულ ბიძები ინახავენ,—ნაღვლიანის კილოთი წარმოსთქვა სეომ,—მე იმ პაპაანთ საბას ქალს ვერც კი ვიცნობ, ჩემს დღეში არ მინახავს და ნატრისთვალა კი...

— სუ, სუ, იმის სახელს ნუღარ გამაგონებ,—გააწყვეტინა სიტყვა დედამ.— მოიტა, შვილო პელაგო, სუფრა გაშალე, ვახშამი ვჭამოთ, დილაზე ადრე ასადგომი ვარ, მე ჩემს საქმეს უნდა შუდგე...

ვახშამზედაც სულ მაგის აქია ჰქონდათ, სულ მაგ საგანზე ლაპარაკობდნენ. დედა, რძლები, ძმები აღარ აცლიდნენ ერთმანერთს. როგორც პატარაობაში იყო სეო დაჩაგრული, ეხლაც უნდათ ისე დასჩაგრონ, თავისს სიტყვაზე გაატარონ, ამისი გულის წადილი აინუნშიაც არ ჩააგდონ. ყმაწვილობიდან მოკიდებული დავაჟკაცებამდის სეოს, როგორც კოჟანდარს ძმას, უფროსი ძმები, საითაც უნდოდათ, თავს იქით უკრავდნენ. მოჯამაგიეობა, სხვათა შვილობაც ხომ ხშირად გამოუცდია სეოს. ბევრი უძილო ღამეები გაუტარებია თამბაქოს დამატის დაწყობაში. ბევრი მუშტი მოჰხვედრია; ბევრი ჯოხი აუკიდნია, როდესაც ნამჯდომიარეს ჩამოსძინებია, მაგრამ ყველა ეს აუტანია სეოს, ან მეტი რა გზა იყო: გამოიქცეოდა და—შინ უარეს დღეს დააყრიდნენ ძმები. დანიშვნითაც ეგრე დანიშნეს პირველა ცოლზე. სანამ ნიშანი არ მიიტანეს, ქალი თვალითაც არ დაენახა. უთხრეს, აი, ეს არის შენი დანიშნულიო და იმანაც... და ეს კი დიდი ღვთის მოწყალება არ იყო, რომ დანიშვნის ღირსი გახადეს?! სეოს პირველა ცოლის ხეირიანად არც კი გაუგია რამე: ქორწილის მეორე დღიდამვე ჩალოგინდა, იავადა ზერე-ქვერედ და მოკვდა კარგ უნახავი...

სეო მხოლოდ მაშინ გამოცოცხლდა, როდესაც გაიგო, «ნატრისთვალას გულში ჰყვეხარ ჩავარდნილი, შენი ცოლობა უნდაო». «რა ბედნიერი ვიქმნები, რომ ეგ ჩემი ცოლი გახდეს!!... თუნდა ერთი დღე ავი არ მინახავსო»,—ჰფიქრობდა სეო და გულში სიამოვნების, სანეტარო სიხარულის ჟრუანტელი უვლიდა. რაც ეს აზრი გაიგო, ნატრისთვალას სახე აღარ ჰშორდებოდა თავიდამ, სულ მასთან იყო, მაზედ ჰფიქრობდა, პატარაობაშივე მოსწონდა სეოს ნატრისთვალა და ეხლა კიდევ იმის ცალსა და ბადალს არავის აყენებდა. რამდენჯერმე დაუნახავს სეოს შეყრილს ხალხში ნატრისთვალა, კოხტად შავებში გამოწყობილი, თვალი ვეღარ მოუშორებია ისის სავსე, მფეთქავ გულ-მკერდისა, და იმის ეშხით სავსე, ცეცხლის მფრქვეველ თვალებისათვის, გული ასდუღებია, სდომებია იმის ჩაკონება, ტუჩებზე დაწებება, მაგრამ სირცხვილით, უხმოდ, გულ-დათუთქული გამობრუნებულა. ან კი სხვაფრივ როგორ იქნებოდა?! ნატრისთვალასაგან ცოლობაზე დასტური არ მოსვლოდა. აი, როგორც არის, ეხლა მალხაზამ საქმე გაჩაღხა, თავი თავს მოიყვანა, მაგრამ დახეთ უბედურებას?! ეხლა კიდევ დედა, ძმები, რძლები სულ მთლად აუყირავდნენ. რას ჰქნას, რა წყალში ჩავარდეს?! მწარე საგონებელს მიეცა სეო... «ვერ უყურებთ, ჩემი გზა ისევ როგორ იხლართება?! მეგონა, ჩემს შავ-ბნელით მოცულ, დატანჯულ ცხოვრებაში ცოტაოდენი ნათელი შემოაშუქებს მეთქი და როგორ იწეწება ჩემი ცხოვრება?! ჩემის ცოდვით სავსეს, რაღა ქალი დარჩა, ვაჟი რომ იყოს, ბიძები არც კი დაგვანებებდნენ, ხუთის წლიდამვე მოჯამაგირედ დააყენებდნენ... სანამ წამოიზრდებოდა, ჯანს გააგდებინებდნენ... ეხლა კი ნახა ქალია, ახლოც არავინ ეკარება... ჩვენების წინააღმდეგ დავიწერო ჯვარი?! ვაი თუ გამეყარნენ

სპონდენტი იუწყება, რომ იმ ადგილის მახლობლად, სადაც ჯარები დგანან, ახალ სახლებს აშენებენ. ირგვლივ ტყეები სულ გაჩეხეს. ყველაფრიდგან სჩანს, რომ იაპონელები ზამთრის გატარებას ეხლანდელ პოზიციებზე აპირობენ. იაპონელები სიცივეს კარგად იტანენ. ავად ცოტანი ჰხდებიან.

**შანჰაი**, 23 ნოემბერი. (რეიტერი). იაპონიის იმპერატორმა თავისუფალ მეომრებისაგან რაზმების შედგენაზე ნება დართო.

**პეტერბურგი.** გენერალ-ლეიტენანტი ბეკმანი მეთორმეტე კორპუსის უფროსად დაინიშნა; გენერალ-ლეიტენანტი ზანდერი მეოცე კორპუსის უფროსად დაინიშნა.

უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ კუროპატკინისა 23 ნოემბრის თარიღით: «22 ნოემბერს ღამე იაპონელების რაზმებმა სოფელ ლინშიპუსა და ვიჩუანინზე იერიშის მოატანა სცადეს, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. ჩვენ სამი ჯიარის კაცი დაგვიჭრეს. ჩვენ მარჯვენა ფრთაზე 12 თავისუფალი მოსურნე მიეპარა მტრის მოწინავე რაზმებს, რომელიც 20 კაცისაგან შესდგებოდა. იაპონელები ზოგი დახოცეს, ზოგი გაიქცა, ერთი დაჭრილი ჩვენებმა ტყვედ წამოიყვანეს. ჩვენ ზარალი არ მოგვსვლია».

გენერალ სახაროვის დეპეშა მთავარშტაბის სახელობაზე 24 ნოემბრის თარიღით: «23 ნოემბერს გათენებისას იაპონელებმა სამის მხრით თოფები დაუშინეს ჩვენს მოწინავე რაზმებს, რომელნიც ლიაოჩენგოულინის უღელტეხილის სამხრეთით, სინძინტინიდგან სოფელ უძიუძს მიმავალ გზაზე იდგნენ. ჩვენმა რაზმმა უკან დაიხია. ჩვენ მოგვიკლეს 2 ყაზახი. დაგვიჭრეს 3 და 4 უგზო-უკვლოდ დაიკარგა. 9 ცხენი მოგვიკლეს და 2 დაგვიჭრეს. იაპონელები დაპინდუშანისკენ წავიდნენ. 23-ს საღამოს სამხედრო მოქმედების შესახებ მოხსენება არ მოსულა.

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე**

გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

---

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

19 ნოემბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . | 93,70 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . | — |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . | 37,30 |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . | 94,45 |
| ბერლინში „ . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში . . „ . . . . . . . | — |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . | 91⅝ ნ. გაყ. |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . | — |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . . | — |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 427½ ნ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . . | 320 წ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | 271 წ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . . | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა. . . . . | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | 84¼ წ. გაყ. |

## სა ა ვ ა დ მ ყ ო ფ ო ე ბ ი:

**ქალაქის სახაზინო საავადმყოფო**,—მიხეილის ქუჩა, სახაზინო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო**—მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა უფასოა. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვიჩი

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:**

**ავლაბრისა.**—კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი ი. იგიტიანცი.

**კუკიისა**—ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

**თვალების სამკურნალო**—კრილოვისა და ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე, სახლი ლიბერმანისა, № 15 (ლიბერმანის სტამბის ზემო სართულში). ავადმყოფთ უფასოდ აძლევენ რჩევას. სამკურნალოს გამგე-დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ექიმი ქალი პუტიატა.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის**—უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე. ბარონ ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

**სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის** საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი, თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

**გადამდებ სენით ავადმყოფთათვის** უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

**ქალაქის უფასო ღამის თავშე-საფარი სახლები:**

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ძელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

---

ძმები?.. მერე?! ჯერ ეხლა ერთადა ვართ, რა ცხოვრება გვაქვს, ცალკე, როგორღა უნდა ვიცხოვრო?! მართალია, სხვისა ფულით ვაკეთებთ ყოველ წელს თამბაქოს, მაგრამ სხვა ხომ არავინა გვყავს მბრძანებელი?! ჩვენს საქმეს ჩვენვე ვაწარმოებთ. მარტოკა, რომ ვიყო კი, მოჯამაგირეობა არ ამცდება... წინ არ გადაუარო ჩვენებსა და—ესენი თავის ჭკვაზე დამნიშნავენ ვიღაცა პაპაანთ საბას ქალზე... რა ვიცი მე, როგორი ქალი იქნება. იქნება ერთი ჟამია. ნატრისთვალა, კარგი, ლამაზი—იმაზე გავცვალო?!. რა უყო, რომ ქრთამი და მზითევი ექნება... ახ, სადა ხარ ეხლა, ჩემო კარგო, საყვარელო ნატრისთვალავ?!. ამოიოხრა მწარედ სეომ. არ ვიცი, რა მოვახერხო?!. შუბლი როგორ გამიხურდა?!.—და ამ ტანჯვაში ჩაეძინა...

III

შემოდგომის ხნილის, მირჯილების კვირის უკანასკნელი დღეებია. ცოტათი გამოიდარა. საკმაოდ შეშრა გზები. სოფელს მთვარე თავს დაჰკაშკაშებს და საოცნებო, მომჯადოებელი, სულის და გულის წარმტაცი ღამეა. აგერ გრძლად გაწოლილი კავკასიონის ბუმბერაზი ქედიც თავისის მწვერვალებით როგორ ლაპლაპებს ცის სივრცეში მთვარის შუქზე?!. რა დიდებული სურათია იმისი ნახვა ამ დროს?!. სდგეხარ დატყვევებული, უკუგეყრება სევდა, კაეშანი, მხოლოდ უფრო ნამეტანის ძლიერებით გრძნობს გული ძლიერისაგან უძლურის უფლებათა, ადამიანურის ღირსების უგულვებელს ყოფას, მის არაფრად ჩაგდებას, მის წმიდა გრძნობათა შელახვას და ოცნების სამყაროში გადატყორცნილი გული მიილტვის იქით, სადაც თავისუფლად შეგეძლება გამოსთქვა შენი დარდი და მწუხარება. დიდებულო კავკასიონის ქედო!!! ნეტავი შენს უმწიკვლო გულ-მკერდს, შენს ფრიალო ნაპრალებს, რომ ჯერეთ მზაკვრული ხელი არ შეგხებია, უმწიკვლოდ, მოუსყიდველად შეგინახავს შენი თავი. არ გვგევხარ ჩვენ, ადამის შვილთ, რომელთაც ყოველივე დაგვივიწყებია, უკეთუ პირადი ბედნიერება, ოქრო-ვერცხლი, ჩინ-მენდლები მოგვიპოვებია...

— ქვეყანა რომ აიყაროს, თქვენ ხომ ვერას გაიგებთ?!. რატომ გარეთ არ გამოხვალთ ქა, ქორწილია?!..—შემოსძახეს ნატრისთვალაანთ. ამ სიტყვებზე ყველა შინ მყოფნი გარეთ გამოცვივდნენ დედაბუდიანად.

— ეს რა მოდა შემოიღეს, ქა, რომ უფაიტონოთა და უზურნოთ ჯვარს აღარავინ იწერავს?!. ზოგი სულ ვალისაგან არის, უკაცრაული პასუხია, გამოჩურთული, დალუპილი და მაინც უფაიტონოდ აღარა კადრულობენ ჯვარის წერას. რა უნახამთ ამ ხალხს, ვერ გამიგია?!. თითქოს ცხოვრება გაადვილებულიყოს?!. განაგრძობდა ისევ ის ხმა, რომელმაც ნატრისთვალაანი გარეთ გამორეკა.

მართლაც, ერთი ხმაურობა, ყიჟინი, დაფა-ზურნისა და ფაიტონის წკრიალი მოისმოდა შარაგზიდამ.

— ვინ არის, ვინ იწერს ჯვარს ეგეთის ყოფით?..—შეეკითხნენ ნატრისთვალაანი.

— არ გაგიგიათ, ქა?!. ხურდაანთ სეო არ არის ეგა?!. იფნიანური პაპაანთ საბას ქალი არ მოჰყავს?!.

ტყვიასავით მოჰხვდა გულში ნატრისთვალას... უცბად თვალთ დაჰშავდა, ყელში მუხრუჭივით წაუჭირა რაღაცამ და ძლივს-ძლივობით ბარბაცით სახლში შეტრიალდა.

— თავს აღარ ვიცოცხლებ!!.—წარმოსთქვა და უგრძნობლად ტახტზე გადავარდა..

ე. ყარამანიძე.

---

სახალხო ბიბლიოთეკები.

«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა».

ტ ფ ი ლ ი ს შ ი:

1) სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში. ღია არის
დილის 10—2 საათ.
საღამ. 5—7 „
კვირა-უქმეს—დილ. 11—1 „

2) ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქ., № 131. ღია არის
დილით 10—2 საათ.
საღამ. 5—9 „

3) ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19
ღია არის დილით 10—2 საათ.
საღამ. 5—8 „


# განცხადებანი

## ავტორთა საყურადღებოდ

ამ წლის ივნისის 7-ს ქ. ტფილისში დაარსდა წიგნების გამომცემელი ამხანაგობა «სხივი», რომელსაც საგნად აქვს ჰბეჭდოს ქართული სახალხო და სასწავლო წიგნები მეცნიერების ყველა დარგისა და სიტყვიერებისა.

ამხანაგობა დაიწყებს თავის მოქმედებას მომავალ 1905 წლის თებერვლიდან.

ამხანაგობის დამფუძვნელმა წევრებმა ამოირჩიეს დროებითი სარედაქციო კომისია, რომელსაც დაავალეს მოამზადოს შესაფერი მასალა გამოსაცემად.

ამხანაგობას ჯერ-ჯერობით აზრად აქვს გამოსცეს შემდეგის დარგის ორიგინალური და ნათარგმნი თხზულებანი: საექიმო, სამეურნეო, ისტორიული და პოლიტიკურ-ეკონომიური.

ხსენებული დროებითი რედაქცია სთხოვს ბ-ნთ ავტორებს, მოაწოდონ თავიანთი თხზულებანი გასაშინჯად და გამოსაცემად.

რედაქცია სთხოვს ავტორებს ნაწარმოებთან ერთად აცნობოს მას წერილით: რა პირობებით სურთ დაუთმონ ამხანაგობას თავიანთი თხზულებანი.

ნაწარმოების გამოგზავნა შეიძლება შემდეგის ადრესით: ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილს (ქ. ტფილისი, იზმაილოვის ქ. № 44.), ანუ ალექსანდრე გრიგოლის ძეს სოლოღაშვილს. (ქ. ტფილისი, გოლოვინის პროსპ. № 12).

სარედაქციო კომისიის წევრნი: ალ. სარაჯიშვილი, ხ. დღოტი, ს. გორგაძე, ალ. სოლოღაშვილი.

---

## ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს გამოცემა.

| | |
|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ლექსები. . . . . . . | 15 კაპ. |
| რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა . . . . . . | 20 „ |
| რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა . . . . . | 10 „ |
| სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა . . . | 10 „ |
| ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი . . | 7 „ |

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.
(40—40). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

---

პირველად ქართულს ენაზე

ყველასათვის **საჭირო** და **სასარგებლო** წიგნი

## უცხო სიტყვათა ლექსიკონი

რომელშიაც შეკრებილი და განმარტებულია ათი-ათასამდე უცხო სიტყვა ყველასთვის გასაგების ენითა და მაგალითებით, რუსულისა და უცხო ენათა საუკეთესო ლექსიკონებისა, სამეცნიერო წიგნებისა და ჩვენის ჟურნალ-გაზეთებიდან გამოკრებილ-შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ. წიგნს დართულ აქვს ლათინური, ფრანგული, ინგლისური და სხ. «**უცხო ანდაზები და წინადადებანი**», რომელიც არა ერთ გზის იხმარება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს მხოლოდ ერთი მან., ჩვეულებრივის ყდით 1 მ. და 15 კაპ., საუცხოვო (ოქროს ვარაყიან ასოებით დაბეჭდილი) კალენკორის ყდით მანეთ-ნახევარი. გასაგზავნი ხარჯი 20 კაპ.; წიგნი ფას-დადებითაც (съ налож. пл.) შეიძლება გაიწეროთ. უმთავრესი საწყობია ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, გამომცემლის წიგნთ-საცავში. ადრესი: Тифлисъ. Книжная торговля, Іос. Зах. Имедашвили. (10—10)

---

## ახალი გამოცემანი

1) **იავნანამ რა ჰქმნა?** მოთხრობა ი. გოგებაშვილისა, მეოთხე გამოცემა, მეთორმეტე ათასი, ფასი ერთი შაური. ვინც ათობით იყიდის, წიგნაკი დაეთმობა ოთხ კაპეიკად. ვინც ოცობით—სამ კაპეიკად.

2) **ბუნების კარი**, მისივე, მეორე, ბევრად შევსებული გამოცემა, ფასი ერთი აბაზი. ვინც ათობით იყიდის, დაეთმობა 16 კაპეიკად, ვინც ოცობით—15 კაპეიკად.

3) **Къ вопросу о мингрельской школѣ**, მისივე, ფასი ერთი აბაზი. იგივე დათმობა.

4) **Правда о Тифлисѣ**, მისივე, მეორე, ბევრად შევსებული გამოცემა, ფასი ერთი აბაზი. იგივე დათმობა.

5) **Какъ поднять Кавказкую народн. школу**, მისივე, ფასი ექვსი შაური. ვინც ათობით იყიდის, წიგნი დაეთმობა 24 კაპეიკად, ვინც ოცობით—22 კაპეიკად. (5—5).


---

# ბალანსი ტფილისის სამეურნეო ბანკისა

1 ნოემბრისათვის 1904 წლისა.

### ა ქ ტ ი ვ ი.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. კასა (ქაღალ. და ოქრო-ვერცხლის ფული). | 38597 | 68 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: კერძო საკრ დაწესებ. | 283 | 80 |
| III. პირობა ვადებული მიმდინარე ანგარიში სახელმწ. ბანკის ტფილისის განყოფ. | 1038 | 62 |
| IV. სარგებლიანი ქაღალდები, საზოგადოების საკუთვნონი: ა) უზრუნველ-ყოფილნი: . 1591—76; ბ) არა-უზრუნველ-ყოფილნი 8379—50 | 9971 | 26 |
| V. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი . . . . | 8567 | 24 |
| VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცზე არა ნაკლებს უწერია ხელი | 270634 | 80 |
| VII. სოლო-ვექსილით გაცემული სესხი, უზრუნველ-ყოფილი სოფლის უძრავის მამულით. . . . . . | 500 | — |
| VIII. პროტესტ-ქმნილი ვექსილები. . | 9981 | 82 |
| IX. განაღდება ვადიანი ქაღალდებისა, კუპ. და სხვ. . . . . . . | 420 | 90 |
| X. გირაოთი გაცემული სესხი: ა) სახელმწიფოს დ მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ფას. ქაღალ. . 20590—00; ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღ. 61662—75; გ) საქონელზედ . . . 22579—50; დ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარ. 5099—00 | 109931 | 25 |
| XI. გარდახდილი პროცენტები . . | 13078 | 47 |
| XII. %% კუპ., %% ქაღ. სათ. თანხ. საკუთ. | 1 | 64 |
| XIII. დასაბრუნებელი ხარჯი . . . | 212 | 45 |
| XIV. მოწყობა და მომართვა . . . | 2112 | 29 |
| XV. კორესპონდენტები: ა) იმათის ანგარიშით (loro) 99079—01; ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) 42644—90 | 141723 | 91 |
| XVI. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღ | 216 | 71 |
| XVII. სხვა-და-სხვა დებიტორები . . . | 424 | 80 |
| XVIII. მიმდინარე ხარჯები . . . | 14537 | 61 |
| ბალანსი | 622280 | 25 |

### პ ა ს ი ვ ი.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 793 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულის 10%-გან. | 88831 | — |
| II. სათადარიგო თანხა: . . | 9386 | 38 |
| III. შემოტანილი თანხა: ა) მიმდინარე ანგარიშით . 129886—86; ბ) ვადით . . . 150028—33; გ) უვადოთ . . 3850—00 | 283765 | 19 |
| IV. გარდამავალი თანხა . . . . | 1505 | 25 |
| V. გარდასახდელი სარგებელი . . . | 994 | 57 |
| VI. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა . . . | 34 | 60 |
| VII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე-12 და-13 §§-ის თანახმად . . . | 806 | — |
| VIII. გასაგზანათ მიღებული თანხა . . | 850 | — |
| IX. კორესპონდენტები: ა) იმათის ანგარიშით (loro) 51253—13; ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) 74973—90 | 126227 | 03 |
| X. სპეციალ. მიმდინარე ანგარიში სახელმ. ბანკის ტფილისის განყოფ. , . | 29209 | 94 |
| XI. გადაგირავებული ვექსილები: ტფილ. სახ. ბანკის განყოფილებაში . 10450—00; სხვა ბანკებში . . . 33700—00 | 44150 | — |
| XII. წაუღებელი დივიდენდი წარსულ წლ. | 2747 | 12 |
| XIII. მიღებული სარგებელი . . . | 32001 | 20 |
| XIV. 1903 წლის წაუღებელი დივიდენდი. . | 1706 | — |
| XV. მოგება და ზარალი 1904 წლისა . . | 40 | — |
| XVI. განუყოფელი დარჩენილი ფული 1903 წ. | 25 | 97 |
| ბალანსი. | 622280 | 25 |
| პასუხის-მგებლობა 793 წევრისა 10%-იან შემოსატან გარდასახადით . . | 799479 | — |
| საზოგადოებას აქვს შესანახად გარდაცემული ქონება . . . . | 5600 | — |
| თამასუქები საკომისიოდ. . . , . | 8481 | 22 |
| „ ვალების უზრუნ.-საყოფ. ვად. კორესპ. | 6465 | — |